



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო  
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/3910  
22/05/2018

3910-09-2-201805221509



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის  
პროგრამის კოორდინატორს ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

N7076 წერილის (07.05.2018) პასუხად გაწვდით დამატებით ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის პროგრამის ფარგლებში აღებული და შემოწმებული სურსათის (ხორცისა და ხორცის პროდუქტების) ნიმუშების შესახებ, რომლებშიც აღმოჩნდა დარღვევა (ჩამონათვალში მითითებულია სურსათის დასახელება, მწარმოებელი და მისი მისამართი, სურსათის დამზადების თარიღი და ვარგისიანობის ვადა, ნიმუშის აღების ადგილი, ლაბორატორიის დასახელება, სადაც კვლევა ჩატარდა, გამოცდის ოქმის ნომერი და თარიღი, დარღვევის ტიპი (იხილეთ დანართი 1). 2018 წლის იანვარ-მარტში აღებულია სასმელი წყლის 15 სინჯი ტყვიის შემცველობაზე, დარღვევა არცერთ მათგანში არ აღმოჩნდა (იხილეთ დანართი 2).


ყველში რძის ფხვნილის კვლევისთვის აღებულია ყველის (იმერული, სულგუნი, ქარხნული ყველი, ყველის ჩხირები) 42 ნიმუში. დარღვევა აღმოჩნდა 2 ნიმუშში. ესენია:

1. შპს "სანტას" (წალკის რაიონი სოფელი სანტა) წარმოებული ყველი, რომლის ნიმუში აღებულია სს "გუდვილში" (თბილისი, ფარნავაზ მეფის 1)
2. ლევონ აგაიანის (ნინოწმინდის რაიონი) ყველი (დისტრიბუტორი ი/მ ლევან აბაშიძე), რომლის ნიმუში აღებულია შპს „ნიკორა ტრეიდი“ (თბილისი, ც. დადიანის 34, კორპ 4-4ა).

როგორც წინა წერილში მოგახსენეთ, ჯერ არ დაწყებული კვლევები ბრუცელოზზე ნედლ რძეში, მცენარეული ცხიმების შემცველობაზე რძესა და რძის ნაწარმში, ვეტერინარულ პრეპარატებსა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენ ნივთიერებებზე ცხოველური წარმოშობის სურსათში, ძვლის შემცველობის განსაზღვრაზე ხორცპროდუქტებში.

რაც შეეხება ვეტპრეპარატ „ალბენდაზოლი 600“-ს, ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად, N191 გამოცდის ანგარიშის საფუძველზე ვეტერინარული პრეპარატი „ალბენდაზოლი 600“, ბოლუსი N50, მწარმოებელი შპს „დავათი“, სერიის N 53111506, ვარგისიანობის ვადა და/ან წარმოების თარიღი 11.2018. მიჩნეული იქნა უვარგისად, რის გამოც შპს „დავათი“ „სურსათის/ცხოველთა საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ N71 მუხლის თანახმად, დაჯარიმდა 1000 (ათასი) ლარით. შპს „დავათის“ დირექტორს გაეგზავნა წერილი აღნიშნული პრეპარატის მიმოქცევიდან ამოღება/გამოთხოვის შესახებ (N09-2/2937, 19/04/18). ბიზნესოპერატორის ინფორმაციით, მიმდინარეობს პრეპარატ „ალბენდაზოლი 600“-ის სავაჭრო ქსელიდან ამოღების პროცესი მისი შემდგომი განადგურების მიზნით. აქვე გაცნობებთ, რომ შპს „გლობალტესის“ საგამოცდო ლაბორატორიის კვლევის შედეგის მიხედვით (გამოცდის ანგარიში N191 30.08.2018), ვეტერინარული პრეპარატი „ალბენდაზოლი 600“-ის ნიმუში არ შეესაბამებოდა მოთხოვნას პუნქტზე: „რაოდენობრივი განსაზღვრა“.

დემნა ხელაია



სააგენტოს უფროსი - მ.შ.